

ექიმის დანიშნულება

ამოცანა

თამარ მურუსიძე

ქუთაისის N14 საჯარო სკოლა

კლასი: IX

საგანი: მათემატიკა

1. სასწავლო მიზნები:

მოსწავლეები შეძლებენ საყოფაცხოვრებო ამოცანის გადაჭრისას მათემატიკური გამოთვლების გამოყენებას და შედეგის შეფასებას შემდგომი მოქმედების მიზნით.

მედიაწიგნიერების მიზნები:

მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული ანალიზის; გამოყენებულ ინფორმაციაში პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირების; შედარების; სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასების და გადაწყვეტილების მიღების უნარები. განუვითარდებათ თანამშრომლობითი სწავლის უნარები. აუმაღლდებათ ცნობიერება, რამდენად მნიშვნელოვანია ფლობდე ინფორმაციის გაფილტვრის, დახარისხების, შეფასებისა და მიღების უნარ-ჩვევებს.

ესგ-ს მიხედვით მისაღწევი შედეგები.

მათ. IX.4 ხსნის გამოთვლებთან და კავშირებულ ამოცანებს.

- ასრულებს პირად ხარჯთაღრიცხვასთან, შემოსავალთან დაკავშირებულ გამოთვლებს და/ან შეფასებას შემდგომი მოქმედების დაგეგმვის მიზნით.

3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

- ✓ **დიაგნოზი**-დაავადების თვისებურებებისა და არსის განსაზღვრა ავადმყოფობაზე ყოველმხრივ დაკვირვების საფუძველზე.
- ✓ **კურსი (მკურნალობის)**-სამკურნალო პროცედურების დასრულებული რიგი.
- ✓ **კურსი (ვალუტის)**-ფასი, რომლის მიხედვით იყიდება ფასიანი ქაღალდები.
- ✓ **ალერგია**-ორგანიზმის მომატებული ან გაუკუღმართებული რეაქცია რომელიმე ნივთიერების (ალერგენის) მიმართ.

ვალუტა-ქვეყნის ფულის ერთეული და მისი ტიპი . (ოქრო, ვერცხლი, ქაღალდი, თავისუფლად კონვერტირებული ვ-ისეთი ვ, რომელიც შეუფერხებლად იცვლება სხვა ვ-ზე).

- ✓ პუნქტი-გარკვეული ადგილი სივრცეში, რომელიც რაიმესთვის არის განკუთვნილი.
- ✓ პრეპარატი-ქიმიური ან ფარმაცევტული პროდუქტი, ზუსტად განსაზღვრული თვისებებით.
- ✓ დოზა-რაიმეს (ნივთიერების, წამლის და სხვა) ზუსტად გამოთვლილი რაოდენობა.
- ✓ ფინანსური-ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც კერძო პირის, ოჯახის, კოლექტივის, ფირმის, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სახელმწიფოს ხელშია.
- ✓ მიკრო -სიტყვების ნაწილი, რომელიც მცირე ოდენობაზე მიუთითებს.
- ✓ ორგანიზაცია-ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც საერთო პროგრამით, მიზნით ან ამოცანით არის გაერთიანებული.
- ✓ უცხო სიტყვათა ლექსიკონი გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2007.

4.საჭირო რესურსების ჩამონათვალი.

- ✓ დანართები
 - ამოცანის პირობა (დანართი 1)
 - ექიმის დანიშნულება (დანართი 2)
 - სხვადასხვა აფთიაქში მედიკამენტების ფასები (დანართი 4; 5;
 - 6)დამატებითი პირობები (დანართი 7, 8, 9)
- ✓ დიდი ზომის ფურცლებზე დოლარის ლარზე გაცვლის კურსი (დანართი 3)
(ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ვალუტის გადამცვლელი პუნქტი)
- ✓ შეფასების რუბრიკა/ფურცელი (დანართი10)
- ✓ საკანცელარიო მასალა - ფლიფჩარტები; მარკერები; სკოტჩი.
- ✓ კალკულატორები

5. შენიშვნები

ექიმის დანიშნულება, სამ სხვადასხვა აფთიაქში (აფთიაქების დასახელების გარეშე) მოძიებული პრეპარატების ფასები, საშეღავათო პირობები მომხმარებლებისათვის აფთიაქებში (ფასდაკლების დღეები, ელექტრონულ ბარათებზე დარიცხული ქულები, გათამაშების ბილეთები) ავთენტურია.

ასევე ავთენტურია დოლარის კურსი ლართან მიმართებაში ბანკში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტში დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში.

არაგამოკვლეული ერთი და იმავე დასახელების პრეპარატის მწარმოებელი ქვეყანა (შეიძლება პრეპარატის ხარისხზე დაისვას კითხვა).

იმისათვის, რომ პრაქტიკულად შეასრულონ ამოცანა, მოსწავლეებს მოუწევთ, თავი გაართვან სიმულაციას.

სიმულაცია: ჯგუფში წარმოდგენილი იქნება კუთხეები აფთიაქებისათვის, სადაც განათავსდება ავთენტური მედი ინფორმაცია: კონკრეტული მედიკამენტების ფასები და მომხმარებლებზე არსებული შეღავათები. ასევე, შექმნება კუთხეები ბანკისთვის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის და გაიკვრება სხვადასხვა ვალუტის იმდღევანდელი კურსი თვალსაჩინო ადგილას.

6. გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა

1) გაკვეთილის თემის, მიზნისა და შეფასების გაცნობა (2 წუთი).

2) მასწავლებელი აკეთებს შესავალს.

თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის, ყოფაცხოვრებაში.

ამის შემდეგ სვამს კითხვას:

- გახსოვთ საყოფაცხოვრებო მაგალითები, სადაც გვჭირდება მათემატიკური ცოდნა და გამოთვლები ? - მეოთხედი „გონებრივი იერიში“ (3 წუთი).

სავარაუდო პასუხები:

- ✓ როდესაც ვყიდულობთ და ვყიდით,
- ✓ კომუნალური გადასახადები,
- ✓ სესხები და ანაზრები ბანკში,
- ✓ განვადებები,
- ✓ რემონტის ხარჯები (სახლი),
- ✓ სადღესასწაულო სუფრები და ა.შ...

3)სავარჯიშოს შემდმეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ისინი დღეს იმუშავენ ამოცანაზე, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით.

მასწავლებელი მთელ კლასს აცნობს ამოცანის პირობას; შემდეგ კი თითოეულ მოსწავლეს ურიგებს ამოცანის პირობას (დანართი #1) და ექიმის დანიშნულებას (დანართი#2.)

დანართი 1

ამოცანა

ეკას აქვს ალერგია. სეზონურმა ცვლილებამ ალერგიის გამწვავება გამოიწვია, რის გამოც ექიმთან წავიდა. გამოკვლევის შემდეგ ექიმმა დიაგნოზი დასვა და ეკას ერთთვიანი მკურნალობის კურსი დაუნიშნა.

წამლების შესაძენი თანხა 50\$ ეკას დედამ გამოუგზავნა, უცხოეთიდან. მან ეს თანხა უნდა აიღოს N1 ბანკში.

ეყოფა თუ არა ეკას მკურნალობისათვის დედის მიერ გამოგზავნილი თანხა?

ამოცანას ერთვის

ექიმის დანიშნულება.

დანართი2

ჯანმრთელობის სახლი #####

მისამართი: ####

ექიმი: #####

ტელ: ####

პაციენტი: ეკა ####

დიაგნოზი: ალერგოდერმატოზი ერტიკარიული ელემენტებით, კვინკეს შეშუპება.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა

- 1.რანიტიდინი - 150 მგ. 1აბი 1-ჯერ დღეში დილით უზმოდ. 20 დღე
- 2.ფექსოფენი-180მგ.1 აბი 1-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ დილით. 30 დღე
- 3.ვანსეარდუო-10მგ.1აბი 1-ჯერ დღეში საღამოს ძილის წინ . 1 თვე
- 4.მედროლი- 16 მგ. ჭამის შემდეგ
 - 1აბი 3-ჯერ დღეში - 1 დღე
 - 1აბი 2-ჯერ დღეში -1დღე
 - 1აბი 1-ჯერ დღეში - 1დღე
 - 1/2აბი 1-ჯერ დღეში -1 დღე
 - 1/4 აბი 1-ჯერ დღეში - 1 დღე
- 5.უნიდოქსი 10მგ.თითო აბი 1-ჯერ ჭამის დროს. ორი კვირა.
- 6.რიფლუზოლი 150 მგ. მხოლოდ ერთი კაფსულა ჭამის შემდეგ. მკურნალობის დაწყებიდან მეშვიდე დღეს.
- 7.როტაბიოტიკი 1 კაფსულა 1-ჯერ დღეში ჭამის წინ. 20 დღე

მასწავლებელი გადადის შემდეგი შეკითხვით კლასთან.

დაფიქრდით 1 წუთით ინდივიდუალურად და ჩამოაყალიბეთ
ალგორითმი - როგორ უნდა მოიქცეს ეკა?

მეთოდით - გონებრივი იერიში (3წუთი)

პასუხები: აიღოს თანხა და მოახდინოს კონვერტაცია ლარში; დათვალოს
თითეული პრეპარატი რამდენი აბი სჭირდება სულ; შეიძინოს აფთაქში
წამლები.

აქვე მასწავლებელი დასვამს დამხმარე შეკითხვას: როგორ ფიქრობთ, ერთი და იგივე პრეპარატი შეიძლება თუ არა განსხვავებული ფასი ღირდეს?

4)მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ამოცანა გადავაქციოთ პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ სიტუაცად და კლასს ყოფს 4 ჯგუფად (წინასწარ ორგანიზებულია გაკვეთილის დაწყებამდე), თითოეულს აძლევს დავალებას. სულ 10-12 წთ.

ჯგუფი#1 -დავალება

დედის მიერ გამოგზავნილი 50\$ კონვერტაცია ეკამ სად განახორციელოს და რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

შენიშვნა: კედელზე გამოკრულია დიდი ზომის ფურცლები, სადაც დაწერილია ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის იმდღევანდელი კურსი სხვადასხვა ვალუტის ლართან მიმართებაში (დანართი 3. იმის მსგავსად, როგორც ზემოთ ხსენებული ორგანიზაციების საინფორმაციო დაფებზეა)

დანართი 3

ვალუტის კურსი
ბანკი #1

Currency	unit	Buy	sell
USD	1	2.3800	2.4200
EUR	1	2.4800	2.5990
GBP	1	3.5300	3.7100
RUR	1	0.0330	0.0395
AZN	1	2.0060	2.3900

AMD	1000	0.0038	0.0054
TRY	1	0.7810	0.8410

ვალუტის გადამცვლელი პუნქტი

	ყიდვა	გაყიდვა
USD	2.400	2.407
EUR	2.537	2.550

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

	ყიდვა	გაყიდვა
USD	2.395	2.404
EUR	2.530	2.540

პასუხი: თანხას 50 \$ აიღებს #1 ბანკში და ვალუტის გადამცვლელ პუნქტში გააკეთებს მის ლარზე გაცვლას. თუ ეკა თანხას ბანკში გადაცვლის 50\$, ეს არის 119 ლარის ეკვივალენტი, ხოლო ვალუტის გადამცვლელ პუნქტში 50\$ = 120 ლარს. ამიტომ, უმჯობესია კონვერტაცია მოხდეს ვალუტის გადამცვლელ პუნქტში და დაიზოგოს 1 ლარი.

ჯგუფი #2. დავალება:

ექიმის დანიშნულების მიხედვით გამოთვალეთ, თითოეული პრეპარატის რამდენი აბია საჭირო მკურნალობის კურსის ჩასატარებლად? დამატებითი პირობა: პრეპარატი “მედროლი“ ზოგიერთ აფთიაქში 1 აბი 32 მგ-იანია.

პასუხი

#	დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1	რანიტიდინი	20	
2	ფექსოფენი	30	
3	ვანსეარდუო	30	
4	მედროლი	7 ან 4	თუ 1 აბი 16 მგ-ია, მაშინ საჭიროა 7 აბი. I დღე-3 აბი; II დღე-2 აბი; III დღე-1 აბი. IV დღე- ½ აბი; V დღე- ¼

			აბი. ჯამში 7 აბი. ხოლო თუ 32 მგ. მაშინ I დღე-1,5 აბი; II დღე -1 აბი; III დღე-0,5 აბი; IV დღე- 1/4 აბი; V დღე-1/8 აბი. ჯამში 4 აბი.
5	უნიდოქსი	14	
6	რეფლუზოლი	1	
7	როტაბიოტიკი	20	

შენიშვნა: მეორე ჯგუფი სავარაუდოდ ყველაზე ადრე დაასრულებს გამოთვლას და თან შეავსებს მასწავლებლის მიერ წინასწარ გამზადებულ ცხრილს.

ჯგუფი #3. დავალება:

გამოიკვლიეთ თითოეულ ავთიაქში თითოეულ მედიკამენტზე ერთი აბის (კაფსულის) ფასი და შეავსეთ ცხრილი.

მესამე ჯგუფი ავსებს მასწავლებლის მიერ წინასწარ შედგენილ ცხრილს.

შენიშვნა: ჯგუფის წევრებს მოუწევთ, წამოდეგნილი ავთიაქებიდან აიღონ ფასების შესახებ ინფორმაცია, რომელიც წინასწარ განმზადებულია მასწავლებლის მიერ და დევს სამივე ავთიაქში. დანართი 4, 5, 6.

დანართი 4

ავთიაქი N1			
პრეპარატის დასახელება	დოზა	რაოდენობა	ფასი
რანიტიდინი	150მგ.	30	3.5ლ.
ფექსოფენი	180მგ.	1	1.89ლ.
ვანსეარდუო	10მგ.	30	60.00ლ.
მედროლი	16მგ.	1	0.49ლ.
უნიდოქსი	10მგ.	1	0.95ლ.
რეფლუზოლი	150მგ.	1	17.91ლ.
როტაბიოტიკი	150მგ.	1	1.38ლ.

დანართი 5

აფთიაქი N2			
პრეპარატის დასახელება	დოზა	რაოდენობა	ფასი
რანიტიდინი	150მგ.	20	2ლ.
ფექსოფენი	180მგ.	1	1.59ლ.
ვანსეარდუო	10მგ.	30	55.5ლ.
მედროლი	32მგ.	30	24.3ლ.
უნიდოქსი	10მგ.	10	7.2ლ.
რეფლუზოლი	150მგ.	1	17.90ლ.
როტაბიოტიკი	150მგ.	1	1.15ლ.

დანართი 6

აფთიაქი N3			
პრეპარატის დასახელება	დოზა	რაოდენობა	ფასი
რანიტიდინი	150მგ.	30	3.5ლ.
ფექსოფენი	180მგ.	1	1ლ.
ვანსეარდუო	10მგ.	30	55.5ლ.
მედროლი	16მგ.	1	0.49ლ.
უნიდოქსი	10მგ.	1	0.78ლ.
რეფლუზოლი	150მგ.	1	17.90ლ.
როტაბიოტიკი	150მგ.	1	1.10ლ.

პასუხი

#	პრეპარატის დასახელება	ერთი აბის ფასი (1ლარი)			შენიშვნა
		#1	#2	#3	
1	რანიტიდინი	0,118(3)	0,1	0,118(3)	
2	ფექსოფენი	1,89	1,59	1	
3	ვანსეარდუო	2	1,85	1,85	
4	მედროლი	0,49	0,81	0,49	
5	უნიდოქსი	0,95	0,72	0,78	
6	რიფლუზოლი	17,91	17,90	17,90	
7	როტაბიოტიკი	1,38	1,15	1,10	

ჯგუფი #4

შეისწავლეთ (მოიძიეთ ინფორმაცია) თითოეული აფთიაქის საშელავათო პირობები.

შენიშვნა: ამ ჯგუფის წევრებს მოუწევთ თითოეული აფთიაქიდან ინფორმაციის მოძიება, რაც ასევე წინასწარ მომზადებულია მასწავლებლის მიერ და დევს სამივე აფთიაქში.

პასუხები:

საშელავათო პირობები:

	#1	#2	#3
ფასდაკლება 20 ლარის ზემოთ შენაძენზე 20%	-----	ორმაბათი ოთხმაბათი	სამსაბათი ხუთმაბათი
ელექტრონულ ბარათზე დარიცხული ქულები	20 ლარი =4 ქულა	20 ლარი =10 ქულა	ბარათზე დარიცხული ქულების რაოდენობა განისაზღვრება შეძენილი მედიკამენტების რაოდენობის, მწარმოებელი ქვეყნის მიხედვით.

			რასაც განსაზღვრავს კომპიუტერული პროგრამა.
გათამაშების ბილეთები		1.ერთჯერადად განხორციელებულ მინიმუმ 20 ლარიან შენაძენზე 1 ბილეთი. 2.ერთჯერადად განხორციელებულ მინიმუმ 50 ლარიან შენაძენზე 5 ბილეთი.	1.ერთჯერადად განხორციელებულ მინიმუმ 20 ლარიან შენაძენზე 1 ბილეთი. 2.ერთჯერადად განხორციელებულ მინიმუმ 50 ლარიან შენაძენზე 5 ბილეთი.

მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული ცხრილი ჯგუფების მიერ შეივსება (პარალელურ რეჟიმში, დროის მაქსიმალური გამოყენებით) და გაიკვრება თვალსაჩინოდ დაფაზე და მასზე ასახული იქნება ინფორმაცია თითოეულ ავთიაქში, თითო მედიკამენტზე 1 აბის ფასი, თითო მედიკამენტის საჭირო რაოდენობა და თითოეულ ავთიაქში საშეღავათო პირობები.

5) შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იპოვონ, თითოეულ მედიკამენტზე საჭირო რაოდენობების მიხედვით რა თანხის გადახდა მოუწევს ეკას თითოეულ ავთიაქში.

თითოეული ჯგუფი იმუშავებს შემდეგ მედიკამენტებზე.

#1ჯგ- მედიკამენტები: რანიტიდონი, ფექსოფენი

#2ჯგ- მედიკამენტები: ვანსუარდუო, მედროლი

#3ჯგ- მედიკამენტები: უნიდოქსი და რიფლუზორი

#4ჯგ- მედიკამენტები: როტობიოტიკი

(3-4 წუთი)

ცხრილის დასრულებული სახე კი ასეთია. ცხრილი თვალსაჩინოდ გამოიკვრება დაფაზე.

#	პრეპარატის დასახელება	#1	#2	#3
1	რანიტიდინი	2,33	2	2,33
2	ფექსოფენი	56,7	47,7	30
3	ვანსეარდუო	60,00	55,5	55,5
4	მედროლი	3,43	3,24	3,43
5	უნიდოქსი	13,3	10,08	10,92
6	რიფლუზოლი	17,91	17,90	17,90
7	როტაბიოტიკი	27,6	23	22

6)მუშაობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს პირველ ჯგუფს, გამოიტანოს ნამუშევარი და გააკეთოს პრეზენტაცია (50\$ -ს კონვერტაცია) (2 წთ)

7)მასწავლებელი მიმართავს მთელ კლასს შეკითხვით: ეყოფა თუ არა დედის გამოგზავნილი თანხა ეკას?

მიახლოებითი შეფასება კი/ არა.

სამივე ჯგუფს ეძლევა ერთი და იგივე დავალება.

განსხვავებულ პირობებში სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულად მოქმედებს. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ეკა. როგორ გადაწყვეტილებას მიიღებთ? სად შეიძენთ მედიკამენტებს და რატომ? პასუხი დაასაბუთეთ. (7-8წუთი).

პასუხი

საყურადღებოა N2 აფთიაქში პრეპარატი რანიტიდინი, მედროლი და უნიდოქსი ჯამში 15,32 ლარი ღირს, ხოლო N3-ში 16,68. ცხადია, უმჯობესია N2 აფთიაქში შეიძინონ ეს პრეპარატები, მაგრამ ფასდაკლების პირობის თანახმად, N2-ში ამ პრეპარატებზე ფასდაკლება არ ვრცელდება (რადგან ფასდაკლება ვრცელდება 20 ლარის ზემოთ შენაძენზე), ხოლო N3-ში ვრცელდება. 16,68-ის 80 %=13,344. დანაზოგი არის 1,976 ლარი. უმჯობესია, ეკამ ეს პრეპარატები მესამე აფთიაქში შეიძინოს.

თუ ეკა პირველ აფთიაქში შეიძენდა ყველა პრეპარატს, ის დახარჯავდა 181,27 ლარს. დადის მიერ გამოგზავნილი თანხა არც კი ეყოფოდა.

თუ ეკა მესამე აფთიაქში შეიძენს ყველა პრეპარატს, ის დახარჯავს 113,66 ლარს და დანაზოგი ექნება $181,27 - 113,66 = 67,61$ ლარი. ასევე, მას დაერიცხება ელექტრონულ ბარათზე ქულები და მიიღებს გათამაშების 10 ბილეთს.

შენიშვნა: შეიძლება პასუხი იყოს სხვადასხვა.

8) მასწავლებელი ბოლოს აჯამებს გაკვეთილს 3-2-1 მეთოდის გამოყენებით, პასუხები იწერება დაფაზე მასწავლებლის მიერ.

3 რამ, რაც ვისწავლე.

პასუხები: ანალიზი, ინფორმაციის გაფიქვრა და შედარების გაკეთება, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

2 რამ, რაც გავიგე.

პასუხები: როგორ ავირჩიო სხვადასხვა ინფორმაციიდან ჩემთვის სასურველი და მისაღები. რა მჭირდება იმისათვის, რომ მივიღო სწორი გადაწყვეტილება.

1 რამ, რაც მინდა გითხრათ.

პასუხი: მოწოდებული მედიაინფორმაცია გააზრების გრემე არ უნდა მივიღოთ.

(3წუთი)

9) ბოლოს მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეჯამების კუთხით უბრუნდება თემას და სთხოვს მოსწავლეებს, შექმნან თემაური სლოგანები, რომლებიც იწერება ფლიფჩარტზე და იკვრება საკლასო ოთახში (3-5).

1. მეტი ინფორმაცია მეტი სარგებელია!

2. ნუ მოგხიბლავს რეკლამა, დაუკვირდი შინარსს!

3. ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი!

4. გადაიხადე ნაკლები, მიიღე მეტი!

5.გათვალე ცხოვრება სწორად!

6.მიიღე სწორი გადაწყვეტილება!

7. მოიძიე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და აირჩიე სასურველი!

8.დახარჯე თანხა მიზანმიმართულად!

9. დაუსვი საკუთარ თავს მეტი შეკითხვა: რა? როგორ? რატომ?!

10. მოგებული დარჩი შენ და არა ინფორმაციის მომწოდებელი! (3-5 წუთი)

10)საშინაო დავალება : (1 წთ)

მოსწავლეებმა შექმნან #1 ავთიაქისათვის და #2 ავთიაქისათვის ისეთი შეღავათიანი პირობები , რომ მყიდველმა უპირატესობა მიანიჭოს მათთან მედიკამენტების შეძენას (ფასები დატოვეთ იგივე)

#1 ავთიაქი. სავარაუდო პასუხები:

ფასდაკლება- 100 ლარზე მეტ შენაძენზე 40% ფასდაკლება/

გათამაშების ბილეთები - ერთჯერადად განხორციელებულ მინიმუმ 100 ლარიან შენაძენზე 15 ბილეთი.

#2 ავთიაქი პასუხი:

100 ლარზე მეტ შენაძენზე 30 ლარიანი ფასდაკლება.

7. შეფასება

დანართი 10

ინდიკატორი	შედეგები
ხსნის გამოთვლებთან დაკავშირებულ ამოცანებს	ასრულებს პირად ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებულ გამოთვლებს, ადარებს, აფასებს მოქმედების შედეგს (მიახლოებით/ზუსტად); გეგმავს მომდევნო ოპტიმალურ მოქმედებებს
მედიაწიგნიერების უნარები	შეუძლია მედიაგზავნილების დანაწევრება მნიშვნელობის მქონე

	ელემენტებად, მათი დაჯგუფება და შედარება. გზავნილების ზეგავლენის შედეგების კვლევა, კრიტიკული ანალიზი, შეფასება, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება და დასკვნების გაკეთება.
თანამშროლობითი სწავლის უნარები	თანამშრომლობს ჯგუფს წევრებთან, ისმენს და პატივს სცემს სხვის აზრს, ინაწილებს სამუშაოს, ეხმარება თანაჯგუფელს, აქვს პასუხისმგებლობა ჯგუფის წინაშე.

8. გამოყენებული მედია რესურსები

დანართი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9